თბილისის “დინამო” ამარცხებს თასის მფლობელს

10 ოქტომბერს ლ. პ. ბერიას სახელობის “დინამოს” სტადიონზე შედგა საბჭოთა კავშირის თასის გათამაშების 1/16 ფინალური მატჩი. მოედანზე ერთმანეთს შეხვდნენ თბილისის “დინამოსა” და მოსკოვის “ტორპედოს” გუნდები.

მატჩი თბილისელთა მძაფრი იერიშებით დაიწყო და უკვე პირველ წუთზე ტორპედოელთა მეკარე ბერმიზოვმა ძნელი ბურთი აიღო პაიჭაძისაგან. მცირე ხნის შემდეგ მასპინძლებმა სწრაფი კომბინაცია გაითამაშეს მარცხენა ფლანგზე, ბურთი სტუმართა საჯარიმო მოედანზე დაეშვა, სადაც სამოხინის (#4) შეცდომა მშვენივრად გამოიყენა ჯოჯუამ (#7) და ანგარიში გახსნა.

თბილისელები განაგრძობენ მოწინააღმდეგის დაცვითი ზღუდეების შევიწროებას და შეუჩერებლივ გააზრებულ კომბინაციებს ახორციელებენ. აღსანიშნავია, რომ “დინამოს” თავდამსხმელები (მათ კარგად ეხმარებიან პანიუკოვი და ანთაძე) ამ დღეს შესანიშნავად გადიან თავისუფალ ადგილებზე. თამაშის ტემპი მეტად მაღალია.

ტორპედოელთა შეტევა ეპიზოდურ ხასიათს ატარებს. ა. პონომარიოვი (#9) საიმედოდ ჰყავს “ჩაკეტილი” ძლიერად მოთამაშე ძიაპშპას, რომელიც ოდესღაც მრისხანე მოსკოველი ცენტრალური თავდამსხმელის გარდა არც სხვებს აძლევს თავისუფლებას თავის ზონაში. მოსკოველები სოჩნევზე (#7) აგებენ თამაშს და შეცდომა იყო ამ სწრაფი და სხარტი ფეხბურთელის მეორე ტაიმში მარცხენა ფლანგზე გადაყვანა, რადგან ელოშვილი სარჯველაძეზე გაცილებით იოლად “გაუმკლავდა” სოჩნევს.

შესვენების შემდეგ პირველი ოცი წუთი სტუმრების სასტიკი იერიშებით აღინიშნა, მაგრამ უშედეგოდ. შემდგომში ინიციატივა კვლავ მასპინძლებმა იგდეს ხელთ და პაიჭაძის გასაოცარი ოსტატობით აღფრთოვანებულმა გუნდმა ბრწყინვალედ ითამაშა.

საინტერესო მომენტი შეიქმნა 65-ე წუთზე: ჯოჯუას გარღვევის შედეგად ბურთი მოსკოველთა კართან დაეშვა. თოდრიამ იგი კარისაკენ გაგზავნა, მაგრამ ბიჩკოვმა (#2) უკუაგდო ბურთი, რომელსაც იქვე მახარაძე დაეუფლა. დარტყმა, მაგრამ ამჯერად გომესმა (#3) იხსნა კარი...

მატჩი დამთავრდა თბილისის “დინამოს” გამარჯვებით _ 3:1. მეორე ბურთი გაიტანა თოდრიამ, მესამე _ პაიჭაძემ; სტუმართაგან _ ჩაიკომ (#5) 89-ე წუთზე მეტად საეჭვო 11-მეტრიანი საჯარიმოდან.

ამრიგად, თბილისის “დინამომ” დაამარცხა გასული წლის თასის მფლობელი _ მოსკოვის “ტორპედო”.

“ლელო”, 15 ოქტომბერი 1950 წ.